ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N 24

19 აპრილი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ნ. ვაჩეიშვილი.

საკრებულოს წევრები:
1. გიორგი ახვლედიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
2. დავით უჯმაჯურიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
4. ოთარ გრიგოლია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე;
5. რამინა ბერაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;
6. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;
7. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;
8. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. გოჩა თევდორაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. დავით რურუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ლევან დარახველიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. თევდორე ისაკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. გიორგი მუსხელიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. ჯაბა ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. ლევან დავითაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. მიხეილ ამაშუკელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. ალექსანდრე ხუჯაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
20. ლევან არველაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
21. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

22. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
23. ლევან ხაბეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე მოწვეული სტუმრები:
1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ნინო კვეტენაძე - სსიპ ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი;
4. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (N12-031905990-03);**
მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

2. **საკითხი: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის საკითხი“ (N12-031910897-03).**

მომხსენებელი: ქალბატონი თამარ ტალიაშვილი
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

1. დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ, რომელმაც განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წარმოდგენილი წლიური ანგარიშის შესაბამისად, 2018 წლის დასაწყისისთვის ბიუჯეტის ნაშთზე არსებული თანხები მთლიანად შეადგენდა 35 566 800 ლარს, ხოლო 2018 წლის ბოლოსთვის გარდამავალი ნაშთი, რომელიც დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტშია ასახული, შეადგენდა 63 085 200 ლარს. 2018

წელს შემოსულობების გეგმა განსაზღვრული იყო 1 052 185 700 ლარით, რაც გეგმის 104 % შესრულდა, ანუ ბიუჯეტის საკასო შესრულებამ შეადგინა 1 094 94 400 ლარი.
ბატონი გაიოზის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავლების გადაჭარბება, ძირითადად, გამოწვეულია 2017 წლის ბოლოს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გაზრდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლით. ამას გარდა, ბიუჯეტში აისახა ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები, აგრეთვე „K2" კოეფიციენტის გაზრდილი გადასახადი, რომლიდანაც დაგეგმილზე მეტი შემოსავალი შემოვიდა ბიუჯეტში. რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილის, იგი მთლიანობაში შესრულდა 98 %-ზე მეტით, აქედან პრიორიტეტების შესაბამისად, თანხები შემდეგნაირად გადანაწილდა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე - გეგმით გათვალისწინებული იყო 304 437 200 ლარი, გაიხარჯა 297 807 50 ლარი, რაც გეგმის 97,8 %-ია; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრებაზე დაიხარჯა 174 491 800 ლარი, რაც გეგმის (179 357 900) 97,3 %-ია; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე - გაიხარჯა 138 676 500 ლარი, რაც გეგმის (140,287.1 ათასი ლარი) 98.8%-ია; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაზე - დაიხარჯა 1,888.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,257.3 ათასი ლარი) 83.7%-ია; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - დაფინანსდა 7,662.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (18,219.6 ათასი ლარი) 96.9%-ია; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 192,866.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (194,113.5 ათასი ლარი) 99.4%-ია; განათლება - დაფინანსდა 140,951.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (142,726.2 ათასი ლარი) 98.7%-ია; ხოლო, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 27,016.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (28,665.7 ათასი ლარი) 94.2%-ია.
ბატონი გაიოზის ინფორმაციით, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება დაფინანსდა - 3,604.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,633.8 ათასი ლარი) 99.2%-ია; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 71,610.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (73,165.3 ათასი ლარი) 97.9%-ია.
საკრებულოს წევრმა, საკრებულოს ქონების მართვისა და საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი ზარქუამ მადლობა გადაუხადა ბატონ გაიოზს 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენისთვის და აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილები მაქსიმალურად არის ათვისებული; ქალაქ თბილისის მერიამ ნაყოფიერად იმუშავა და არაერთი გამოწვევის მიუხედავად, შეძლო მთელი რიგი პროექტების დაფინანსება, რისთვისაც ბატონმა ირაკლიმ მადლობა გადაუხადა მერიის წარმომადგენელს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
ირაკლი ზარქუამ, გაიოზ თალაკვაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" წარმოდგენილი ანგარიშის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის უახლოეს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე ---------- 6
წინააღმდეგი ---------- 0
თავი შეიკავა ---------- 1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა).

განათლებისა და კულტურის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისია განიხილავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის პროცედურას. თამარ ტალიაშვილის განმარტებით, 2014 წლიდან ქალაქ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის მთავარ ამოცანად და ძირითად სახელმძღვანელო პრინციპად დაისახა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული საგანმანათლებო და კულტურული ობიექტების მოდერნიზება და პოპულარიზაცია. ამ მიმართულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ახალ ხელმძღვანელობას ბიბლიოთეკებში სავალალო მდგომარეობა დახვდა, რისთვისაც ჩატარდა ბიბლიოთეკების შიდა აუდიტი, განხორციელდა SWOT-ანალიზი, ასევე, 2015 წელს დედაქალაქის მერიამ დაიწყო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის აღნუსხვა, რაც არ განხორციელებულა 1986 წლის შემდეგ.
საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, თბილისის მერიამ, 2016 წელს, დაიწყო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის გაციფრულება, ანუ ელექტრონული ბაზების შექმნა და სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება.
ქალბატონი თამარ ტალიაშვილის ინფორმაციით, დედაქალაქის მუნიციპალიტეტი მუშაობს ბიბლიოთეკების სამართლებრივი ფორმის გამართვაზე. 2017 წელს შეიქმნა ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება, ხოლო დღეიდან თბილისის მერიამ უნდა განახორციელოს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის სალიკვიდაციო პროცედურები, რის შემდეგაც მისი თანამშრომლები გადავლენ ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში. შესაბამისად, კომისია განიხილავს მუნიციპალიტეტის მიერ გასავლელ სამართლებრივ ეტაპს, რომ მომავალში დედაქალაქს ჰქონდეს ბიბლიოთეკები, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე მედიათეკა ან ბიბლიოთეკა, რადგან აერთიანებს ორივეს საუკეთესო მახასიათებლებს თანამედროვე ევროპული ბიბლიოთეკის შესაბამისად.
კომისიის თავმჯდომარის თქმით, თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და დადებითად უყარა კენჭი.
თამარ ტალიაშვილის განცხადებით, სხდომას ესწრება ქალბატონი მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე და იგი მზად არის უფრო დეტალურად ისაუბროს ზემოაღნიშნულ საკითხზე, ხოლო სხდომის დამსწრეთ შეუძლიათ დასვან კითხვები.

კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ბოლო თვეების განმავლობაში, დედაქალაქის ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით, თბილისის მერიიდან რამდენჯერმე შემოვიდა საკითხი საკრებულოში. იგი ასევე დაინტერესდა, არის თუ არა შესაძლებელი ბიბლიოთეკების რეფორმაზე ერთიანი დადგენილების პროექტი შეიმუშაოს თბილისის მერიამ და ისე წარუდგინოს თბილისის საკრებულოს, რათა ერთხელ ეყაროს კენჭი ხსენებულ საკითხს.

პასუხად ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წელს თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების შექმნის საკითხი, მიმდინარე წელს კი განიხილება სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის პროცედურა, რომლის მიზანია დედაქალაქის საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა/მოდერნიზება.

შეკითხვას გამოეხმაურა კომისიის წევრი, ბატონი ბექა დავითულიანი, რომელმაც ბატონ ნიკოლოზ ვაჩეიშვილს განუმარტა, რომ ბიბლიოთეკების განვითარების პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტი შემდეგ ეტაპს ვერ განახორციელებს, თუ ერთი ეტაპი არ დასრულდა. ბექა დავითულიანმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია გაკეთდეს ბიბლიოთეკების რეფორმის შესახებ პრეზენტაცია.

საკრებულოს წევრი, ბატონი ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა, დაკარგავენ თუ არა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები სამსახურს, რაზეც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ თანამშრომლები ინარჩუნებენ სამსახურს. ბატონმა ბექა დავითულიანმაც აღნიშნა, რომ მთავარი ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს წარედგინა შეთავაზება ა(ა)იპ მულტიფუნქციურ ბიბლიოთეკების გაერთიანებაში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტი გეგმავს ახალი ბიბლიოთეკების მშენებლობას და ამის მაგალითია უკვე დაგეგმილი ახალი მულტიფუნქვიური ბიბლიოთეკების მშენებლობა, მათ შორის, ისანსა და დიღომში. ამდენად, თბილისის მუნიციპალიტეტი არ აპირებს ბიბლიოთეკების შემცირებას.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა, თუ როგორ განხორციელდება ბიბლიოთეკების მიმდინარე რეფორმის შემდეგ დაფინანსება. მისი განმარტებით, აქამდე შესაძლებელი იყო თბილისის ბიბლიოთეკები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს და სხვა სუბიექტებს დაეფინანსებინათ. კომისიის წევრის თქმით, მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის შემდეგ, მას ცენტრალური მთავრობა აღარ დააფინანსებს.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა დაფუძნდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 9 ნოემბრის № 673 ბრძანებულების საფუძველზე. ამის შემდეგ, 2007 წელს საქართველოს მთავრობამ გამოსცა „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლები),

მუზეუმებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კოლექტივების განსაზღვრის წესის შესახებ“ № 131-ე დადგენილება, რომლის პირველი მუხლის საფუძველზეც, საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სახელმწიფო ბიბლიოთეკა, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრი, საკლუბო დაწესებულება (კულტურის სახლი), მუზეუმი, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება და შემოქმედებითი კოლექტივები (ანსამბლები, გუნდები, ორკესტრები და სხვ.), გარდა ამ დადგენილების N1, N2, N3 და N4 დანართებში მითითებული დაწესებულებებისა, ჩაითვალა ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებად, რომელთა ლიკვიდაციას, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად დაფუძნებას და/ან რეორგანიზაციას, ასევე ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-გათავისუფლებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. არსებული დაწესებულებების ბაზაზე თვითმმართველი ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩაითვალოს იმ დაწესებულების უფლებამონაცვლედ, რომელთა ბაზაზეც დაფუძნდა აღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ანუ 2007 წელს გაცხადდა იმის საპირისპირო პოზიცია, რასაც ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა აღნიშნა.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, 2007 წელს მოხდა აღნიშნული დაწესებულებების ლიკვიდაციისა და დაფუძნების უფლების მუნიციპალიტეტისათვის დელეგირება. მისივე ინფორმაციით, რეალურად 2007 წელს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა გადავიდა დედაქალაქის მართვაში და მის დაფინანსებას თბილისის მუნიციპალიტეტი ახორციელებდა, მაგრამ არ განხორციელებულა სსიპ მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაცია-დაფუძნების სამართლებრივი პროცედურა. ამიტომაც, შეიქმნა კაზუისტური შემთხვევა. სხვა ობიექტების ლიკვიდაციის პროცესი განხორციელდა, მაგრამ არა მთავარი ბიბლიოთეკისა. სწორედ ეს იყო ამ დაწესებულებაში არსებული ქაოსის ერთ-ერთი მიზეზი.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სამართლებრივი პროცედურების განხორციელება, რათა ისინი უფრო ღია და მიმზიდველ საგანმანათლებო კერებად ჩამოყალიბდნენ, რასაც ისახავს მიზნად მიმდინარე სხდომაზე თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის საკითხის განხილვა.

სხდომის მიმდინარეობისას კომისიამ რეკომენდაცია გაუწია დადგენილების პროექტის პირველ მუხლში ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელებას და მისი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას:

„მუხლი 1. განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის (ს/კ 202058520) ლიკვიდაცია.“

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, ირაკლი ზარქუამ, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, ლევან ხაბეიშვილმა, მაკა ნასრაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და კომისიის ტექნიკური შენიშვნის გათვალისწინებით, მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე ---------- 6
წინააღმდეგი --------0
თავი შეიკავა --------1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა).

კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ:
დადებითად აფასებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და მხარს უჭერს აღნიშნული საკითხი, კომისიის ტექნიკური შენიშვნის გათვალისწინებით, გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი ----------